

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

# IDFI v საჯარო დაწესებულებები

## სასამართლო პრაქტიკა 2016

*ნინო მერებაშვილი*
*ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“*
*28 სექტემბერი, 2016*

2016 წლის განმავლობაში IDFI აწარმოებდა დავებს შემდეგი უწყებების წინააღმდეგ:

! შემოსავლების სამსახური - FOI 16.04.2016

! თბილისის საქალაქო სასამართლო - FOI 16.10.2015

! იუსტიციის სამინისტრო - FOI 10.03.2015

! ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - FOI 10.03.2015

! შინაგან საქმეთა სამინისტრო - FOI 13.06.2014

# სადავო ინფორმაცია:

! თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და საგადასახადო საიდუმლოება ✓

! სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა ✗

! სამსახურებრივი ელ. ფოსტის საშუალებით მიღებული და გაგზავნილი ინფორმაცია ✗

! სახელმწიფო ბიუჯეტის განკარგვასთან დაკავშირებული ინფორმაცია ✓

! თანამდებობის პირთა პრემიები და დანამატები ✓

# IDFI v საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

## თანამდებობის პირთა პრემიები და დანამატები

- მოთხოვნილი ინფორმაცია: თანამდებობის პირთა პრემიები და დანამატები თვეების მიხედვით ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით.

- თანამდებობის პირები: მინისტრი, მინისტრის მოადგილეები, დეპარტამენტის უფროსები.

- პერიოდი: 2013 წელი.

# IDFI v საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

## თანამდებობის პირთა პრემიები და დანამატები

### სასამართლო:

კანონმდებლობა, ადგენს არა მხოლოდ ინფორმაციის დაცულობის, არამედ ინფორმაციის მიღების უფლებას, რომლისადმი მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ნაწილს.

საზოგადოება უფლებამოსილია გაიგოს თუ რა თანხით აანაზღაურა ამა თუ იმ თანამდებობის პირის საქმიანობა საჯარო დაწესებულებამ.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში კანონმდებლობაში არ განხორციელებულა ცვლილებები, თანამდებობის პირთა პრემიებისა და დანამატების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შეიცვალა სასამართლოს მიდგომა.

# IDFI v საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

## თანამდებობის პირთა პრემიები და დანამატები

- 13.06.2014 - FOI განცხადება.
- 24.12.2014 - თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა IDFI-ის სარჩელი.
- შსს-ს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო და საკასაციო წესით.
- 07.04.2016 - გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.
- 22.06.2016 – IDFI-მ მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

შსს-ს ინფორმაცია დღეის მდგომარეობით არ გაუცია

# IDFI v თბილისის საქალაქო სასამართლო

## სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა ✗

მოთხოვნილი ინფორმაცია:

ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების საქმეებზე სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ასლები.

- მიხეილ სააკაშვილი – საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი;
- ივანე მერაბიშვილი – საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და ყოფილი პრემიერ  მინისტრი;
- გიგი უგულავა – ქ. თბილსის ყოფილი მერი;
- ბაჩანა ახალაია – საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა  ყოფილი მინისტრი;
- დათა ახალაია – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი;
- ირაკლი ოქრუაშვილი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, შინაგან საქმეთა და თავდაცვის ყოფილი მინისტრი;

და სხვა ყოფილი თანამდებობის პირები (სულ 19).

# IDFI v თბილისის საქალაქო სასამართლო

## სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა

თბილისის საქალაქო სასამართლომ:

- ! მიიჩნია, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ისეთი მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ, როგორიცაა მაგალითად საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი არ უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.
- ! არ იმსჯელა კერძო და საჯარო ინტერესის თანაფარდობაზე.
- ! არ იმსჯელა არსებულ საზოგადოებრივ ინტერესზე.

# IDFI v იუსტიციის სამინისტრო

## სამსახურებრივი ელ. ფოსტის საშუალებით მიღებული და გაგზავნილი ინფორმაცია

- მოთხოვნილი ინფორმაცია: გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები.
- გაგზავნის/მიღების ფორმა: შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურეობრივი ელექტრონული ფოსტიდან მიღებული და გაგზავნილი ინფორმაცია.
- პერიოდი: 2015 წელი.

# IDFI v იუსტიციის სამინისტრო

**სამსახურებრივი ელ. ფოსტის საშუალებით მიღებული და გაგზავნილი ინფორმაცია**

! სასამართლო: „საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს დოკუმენტის მხოლოდ საბოლოო სახე, რომელიც აისახება დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში“.

დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა არის საქმეთა ადმინისტრირების ერთერთი ფორმა და იგი ვერ იქნება საჯარო ინფორმაციის ბუნების განმსაზღვრელი.

სასამართლო არალეგიტიმურად ავიწროვებს საჯარო ინფორმაციის ცნებას.

## IDFI v. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

### სახელმწიფო ბიუჯეტის განკარგვასთან დაკავშირებული ინფორმაცია ✓

მოთხოვნილი ინფორმაცია

- 2014 წელს განხორციელებული აუდიტორული შემოწმების (შიდა, გარე, სახელმწიფო და არასახელმწიფო) აქტები.
- 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი და შესრულებული პროექტების ჩამონათვალი თითოეულზე გამოყოფილი და ათვისებული თანხის მითითებით.
- პროგრამების ფარგლებში განხორციელებული პროექტების წარმატების შეფასების ინდიკატორები და მიღებული შედეგები.
- ადმინისტრაციული ხარჯები (სამივლინებო, როუმინგული ხარჯები, სახელმწიფო შესყიდვები და სხვა სულ 17 მოთხოვნა).

## IDFI v. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

### სახელმწიფო ბიუჯეტის განკარგვასთან დაკავშირებული ინფორმაცია ✓

სასამართლო:

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საბიუჯეტო პროცესის ძირითადი პრინციპი გამჭვირვალობაა, რომელიც გულისხმობს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის გამოქვეყნებას, ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.

„ანგარიშგება და კონტროლი საბიუჯეტო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ყველას აქვს უფლება იცოდეს საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები.“

# IDFI v შემოსავლების სამსახური

## თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შემოწმების ოქმები




მოთხოვნილი ინფორმაცია:

- განხორციელდა თუ არა შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოში არსებული თითოეული თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შემოწმება?
- ასეთი შემოწმების განხორციელების შემთხვევაში შემოწმების ამსახველი დასკვნები და ოქმები.

# IDFI v შემოსავლების სამსახური

## თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შემოწმების ოქმები

სასამართლო:

„ნებისმიერ ინფორმაციაში“ არ შეიძლება მოაზრებულ იყოს გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული ფინანსებთან.

ინფორმაციის საგადასახადო საიდუმლოებად მიჩნევისთვის აუცილებელია არსებობდეს გადასახადის გადამხდელზე არსებული ინფორმაციის კავშირი ფინანსებთან.

# პრობლემები

- მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეებზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა.
- ელ. ფოსტის საშუალებით სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოებული კორესპონდენციისადმი წვდომა.
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით სასამართლოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება.
- ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელია შეიცავდეს საგადასახადო საიდუმლოებას.

სტრატეგიული სამართალწარმოების პროცესში IDFI შსს-ს წინააღმდეგ გამოვლენილ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

# დასკვნა

- არ არსებობს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველმყოფელი ქმედითი მექანიზმი.
- მნიშვნელოვანია ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ახალი კანონის დროული მიღება - 2015-2016 წლების საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგია, 2014-2015 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა, ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმა, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა.
- აუცილებელია ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერის ინსტიტუტის შექმნა.




INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI